



თელავის მუნიციპალიტეტის  
საკრებულო

დადგენილება

ქ. თელავი

N 7  
28/02/2020

7-09-4-202002281800



თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 თებერვლის №11  
დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში  
სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების  
საფასურის დადგენის შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის  
მე-4 პუნქტის, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

**მუხლი 1.** შეტანილ იქნეს ცვლილება თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019  
წლის 27 თებერვლის №11 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის  
ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების  
რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“  
([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), 04/03/201, 010250050.35.163.016460).

1. დადგენილებით დამტკიცებული დანართი N1-ის „თელავის მუნიციპალიტეტის  
ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების  
რეგულირების წესი“ მე-9 მუხლის მეორე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს  
შემდეგი რედაქციით:

„ ბ) თელავის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებს ან/და  
იურიდიულ პირებს რომლის 50% - ზე მეტი წილის მფლობელი არის თელავის  
მუნიციპალიტეტი, მხოლოდ სამსახურეობრივი საჭიროებიდან გამომდინარე;

მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ავტოსატრანსპორტო  
საშუალებებზე გაიცემა სპეციალური საშვი, რომლის ფორმას ამტკიცებს  
მუნიციპალიტეტის საკრებულო.“


2. დადგენილებას დაემატოს მუხლი 4<sup>1</sup> და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:  
„მუხლი 4<sup>1</sup>. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე გასაცემი საშვის ფორმა დამტკიცდეს დანართი N5-ის შესაბამისად.“

1. დანართი N5 ჩამოყალიბდეს თანდართული ფორმით.

## მუხლი 2.

დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.


გიგა ორკოდაშვილი




საკრებულოს თავმჯდომარე - მ.შ.  
თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო



მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე გასაცემი  
საშვის ფორმა

<b>საშვის გამცემი ორგანო</b>	
	ს ა შ ვ ი N _____
<b>საშვის გამოყენების არეალი</b>	
ავტოსატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო სანომრე ნიშნით	_____
გაცემის თარიღი: __/__/__.	საშვის გაცემაზე უფლებამოსილი
მოქმედების ვადა: __/__/__.	პირის სახელი, გვარი
	ბ.ა _____ (ხელმოწერა)

გიგა ორკოდაშვილი



საკრებულოს თავმჯდომარე - მ.შ.

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო